ახალი ქვევრის გარეცხვა. თუ ახლად ჩიყრილ ქვევრებს პირველ წელიწადს მასიური ორდინალური ლვინობის დასაყენებლად ან ქაჭის შესანახად გამოვიყენებთ, რაც არ უნდა კარგად დავამუშაოთ იგი, არ შეიძლება მცირე გავლენა მაინც არ მოახდინოს მან ლვინის ხარისხს. ახალი ქვევრი უნდა შემოწმდეს, გატეხილი ან გამზარული რომ არ იყოს და არ უმნავდეს. ასეთ შემთხვევაში გატეხილ ადგილის, როგორც ერთი ისე მეორე მხარე 1—1 სმ ფრთხილად უნდა ამოვკვეთოთ და ცემენტით შეცვლუსოთ, შეურობის შემდეგ კე ეს ადგილები ლვინის მცირეს 10°, ისნი ხსნარის ენერგიულად დაგამოიწოოთ. ფარტული დანართი შეცვლაში აცრდოს ნაცვრის და თასის ქონის ნარევით შევაკეთოთ. უნდა ავილოთ ერთი წილი სუფთა თხის ქონი, გავალლვოთ ჩელ ცეცხლზე და წმინდა საცერტი გაცოილ 2 წალ ნაცერის შეცურიოთ და ამ ნარევით შეცვლეთოთ. თუ გატეხილ ადგილს დიდი პირი უჩანს, ეს ადგილები ბამბით უნდა კარგად ამოვავსოთ და ბოლოს კი ნარევით გულმოდგინედ შევაკეთოთ. ახალი დიდი ტევადობის ქვევრები შემოწმების შემდეგ სუფთა ცივი წყლით კრაზინით — ნალისმაგვარი ცოცხით ან თაგვისარათი (იხ. სურ. 1, 2) უნდა

გავრეცხოთ, პატარა ქვევრები კი ბლის ქერქისაგან გაკეთებულ სარცხით.

სალვინე ჭურჭელი მანამდე უნდა ვრეცხოთ, სანამ ნარეცხწყალს სუფთა გამჭვირვალე ფერი არ ექნება და ლავმუსის ქალალდზე ნეიტრალურ რეაქციას არ გვიჩენებს.



სურ. 1. ქვევრის სარეცხი ქრისანა

ნახმარი ქვევრის გარეცხვა. თუ ლვინონაზგამი ქვევრი კარგად შენახულია, საკმარისია ცივი წყლით ცოცხის გამოყენებით ენერგიულად გამოვრეცხოთ, გამიღამშრალოთ

და გოგირდი უხრჩოლოთ. ნარეცხი წყლის ბოლო ფრაქციას სუფთა ფერი უნდა ჰქონდეს და რაიმე გარეშე სუნი არ უნდა ემჩნეოდეს.

მცირე ზაღიანი ქვევრის გარეცხვა. ქვევრებს მოუვლელობის შედეგად ბშირად ობის და შმორის სუხი ეტჩნევა, რადგან ცარიელ სალვინე ჭურჭლის შენახვას ნაკლები ყურადღება ეძლევა. რის ვამოც დაავადებათა გამომწვევი მიკრობრევანიზები ცისში თავისუფლად ვითარდება და ჭურჭლი ფუჭდება. ქვევრი როდესაც გაიცლება, უნდა გულმოდგინედ გაირეცხოს ცივი წყლით ისე, რომ წყალმა მთლიანი მოცილობა ჭუჭყი, რადგან ეს ქმნის დამვალებელი მიკრობრევანიზების განვითარების გარეშე. ასე ჭურჭლის პირობებში, გარეცხვის შემდეგ ჭურჭლი უნდა გამოშრეს და გოგირდი ესრჩოლოს 5 გ ჰლ ტევალობის ჭურჭლის ტესტის უნდა ვაწარმოოთ. ჭანგით ან სხვა რაიმე სილით დაავადებული ქვევრი ჯერ ცივი წყლით კარგად უნდა გამოვრეცხოთ, შემდეგ კი 5%-იანი სოდიანი წყლის სსნარით დავამუშაოთ და ბოლოს რამდენჯერმე გამოვაფლოთ ცხელი და ცივი წყლი. ნარეცხ



სურ. 2. ქვევრის სარეცხი თავე-სარა

წყალს რაიმე გარეშე სუნი არ უნდა ემჩნეოდეს, სუფთა უნდა იყოს და ლაქმუსის ქალალდზე ნეიტრალურ რეაქციას უნდა იძლეოდეს. გარეცხილი ქვევრი აგრეთვე ყნოსვით, ელნათურით ან სანთლით უნდა შევაძოწმოთ. იმ შემთხვევაში თუ დავრწმუნდებით, რომ რეცხვა საკმარისი არ არის, ეს ოპერაცია ხელმეორედ და უფრო გულმოღაცინედ უნდა გავიმეოროთ. სოდის მაგიერ შეიძლება გამოვიყენოთ ნაკარი. ამისათვის გაცრილი ნაცარი ცალ წყალში უნდა ჩივიაროს, კარგად აირიოს და დაწმუნდის შემდეგ სუფთად გადმოვასხათ და ქვევრი გავრეცხოთ. ნაცრით დამუშავების შემდეგ ქვევრი რაც შეიძლება კარგად უნდა გაირეცხოს ცივი წყლით.

ძლიერ და ავადებული ქვევრის გარეცხა. ძლიერ დაავადებულ ქვევრებს, რომლებშიაც ანთებული სანთელი სწრაფად ქრება 3—4 ჯერ ცივი წყლით რეცხავენ, ერთხელ სოდის 5%—იანი ცხელი ხსნარით დაამუშავებენ, გამოავლებენ რამდენიმეჯერ ცხელ წყალს და საბოლოოდ 3—5 ჯერ ცივი წყლით ენერგიულად გამოხეხავენ, ნარეცხი წყალი ბოლოს სუფთა, უსუნოდა ნეიტრალური რეაქციისა უნდა იყოს. თუ ქვევრს რაიმე გარეშე ზადი (ნავთის, წნილის სუნი) ემჩნევა, ის ჯერ ცივი წყლით კარგად უნდა გამოირეცხოს და შემდეგ კინკრით გაირეცხოს. ენერგიული რეცხვის შემდეგ თუ ჭურჭელს ჩაიირეოდენი ზადი მაინც ემჩნევა ის ჭაჭის შესანახად უნდა გამოვიყენოთ. საერთოდ კი ქვევრი გულმოღაცინე რეცხვით უნდა გამოვაკეთოთ. ამ ოპერაციის ჩატარების შემდეგ ქვევრი იმგვარადვე უნდა გავრეცხოთ, როგორც დაავადებული ქვევრი. იმ შემთხვევაში, როცა ქვევრი ძლიერ დაავადებულია და მისი გამოსწორება მოუხერხებელია დასაშვებია ხარისხოვანი ცემენტით მისი შიგნითა პირის მოპირკეთება. ცემენტი ნაკლებად უნდა შეიცავდეს რკინის მარილებს რომელიც იოლად ისსნება ლვინოში და მთრიშლავ ნივთიერება.

შებთან შეერთებით რკინის ტანატს წარმოქმნის და ლვინოს აშავებს.

ცემენტში არსებული კალციუმის ნარილებით ლვინოში მევიანობა მცირდება და ისედაც მცირე სიმძავის ლვინის ხარისხს აუარესებს და ამავე დროს ხელს უწყობს ზემოთ აღნიშნული ზაღის წარმოშობას. იმ შემთხვევაში, როგა ჭურჭლის კედლები ცემენტით არის გალესილი, სანამ ლვინოს ჩავასხამდეთ აუცილებლივ ლვინის მევათი უნდა დავამუშავოთ. ეს უფრო კარგ შეფავს იძლევა და საკმაოდ მიღებულ საშუალებად ითვლება. 10<sup>7</sup>-იან ლვინის მევას ხსნარით შიგნითა კედლები ორჯერ იუვარება, პირველი წასმის შემდეგ კედელი კარგად უნდა გაშრეს, რომ მეორედ წაუსვათ ხსნარი. 1 კვ. მეტრზე 40 გ მევაა საჭირო.

წითელი ლვინის ნადგამი ქვევრის დამუშავები. ხშირია შემთხვევა, როდესაც სალვინე ჭურჭლის უქონლობის გამო თეთრი ლვინის დასაყენებლად და შესანახად იყენებენ წითელი ლვინის ნადგამ ჭურჭლს. ჭურჭლის ფორებში დარჩენილი სალებავი ნივთიერებანი გადადის თეთრ ლვინოში და ლებავს მას, უცვლის თავის ბუნებრივ ფერს და სათანადო დაღს ასვამს მის ხარისხს. ამის თავიდან ასაკილებლად, წინასწარ დამუშავებამდე ჭურჭლის კედლებზე გამოლექილი ლვინის ქვა თუ აღზოჩნდება, ჯერ იგი უნდა მოვაშოროთ და შემდეგ სოდის 5<sup>0</sup>-იანი ცხელი ხსნარით ენერგიულად დავამუშაოთ. ეს ოპერაცია უნდა გავიმეოროთ მანამ, სანამ ნარეცხი წყალი მთლად უუკერო არ გახდება და ბოლოს ცხელი და ცივი წყალი გამოვავლოთ.

მელვინების ზოგ რაიონში სალვინე ჭურჭლის გარეცავას ნაკლები ყურადღება ექცევა, რის გამოც ლვინოს ხშირად ობის და შმორის სუნი უჯის. ხშირია შემთხვევა, როდესაც ქვევრს საარაყე ხილის დასაღულებლად იყენებენ, რაც ყოვლად მიუღებლად უნდა მიეიჩნიოთ.

ქვევრი როდესაც დაუარიელდება, მაშინვე ენერგიულად უნდა გაირეცხოს, კარგად გამოშრეს და გოგირდი ეხრჩოლოს, სარქველი დაეხუროს და ზევიდან მიწა მიეყაროს. გო-

გირდის ხრჩოლება ყოველთვიურად უნდა განმეორდეს. მიზანშეწონილად მიგვაჩინია გარეცხილ და გამომშრალ ქვევრებს კირის რა და წაესოს და როდესაც იგი შეშრება სარქველი და ეხუროს და მიწა დაეყაროს. კირის რა მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ ნაცარწყალიც, ნაცარს სცრიან საცერზი და შემდეგ ხსნიან წყალში და ჯაგრისებით უსვამენ ქვევრის კედლებს, შემდეგ ოპერაციას იმგვარადვე აწარმოებენ, როგორც კირის რა დამუშავების შემთხვევაში.

ხის ახალი ჭურჭელის გარეცხვა ხის სალვინი ჭურჭელი უმთავრესად ბუხისაგან მხადდება. მუხა ჭირბად შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, რომელებც ღვინოში აღვიღად იხსნება და არასასიამოვნო მწერლებზე გმოს სტროებს. ამიტომ ხის ახალ ჭურჭელში ორი კვირის გენევლობაში წყალი უნდა იყოს ჩატვირთი, მაგრამ აშმორების თავიდან ასა-ცილებლად ყოველ ორ-სამ დღეში იყი უნდა გამოიცალოს, რადგან აშმორებული ჭურჭელი შემდგომ საცხოვდ ინცლი და-სამუშავებელია. ცივი წყლით გამორეცხილი ჭურჭელი შემ-დეგ ცხელი წყლით უნდა დამუშავდეს. სადაც კი ამის შესაძლებლობაა, ჭურჭლის დამუშავება სასურველია შემდეგნაირად: სალვინი ჭურჭელი უნდა იიქსოს გოგირდზევა წყლიანი ხსნა-რით, 1 ჰლ წყალში 1—1,5 გ გოგირდზევა უნდა ჩაისხოს და 8—10 დღეს გაჩერდეს, ხოლო წემდევ 2,5% -იანი სოდიანი ცხელი წყლით ენერგიულად უნდა გაირეცხოს, ისე რომ ხსნა-უველგან მოხვდეს. შემდეგ ცივი წყალი უნდა გამოცელოს, დგარზე დაიწრიტოს და გოგირდი ეხრჩოლოს.

უკანასკნელ ხანებში ჩელვინეობის პრაქტიკაში შემოვიდა ახალი ბოჭკების დამუშავების შემდეგი წესი: ბოჭკაში ას-ხამენ წყალს მისი მოცულობის  $\frac{2}{3}$ -მდე, შიგ ორთქლსადენ მილს უშვებენ და აცხელებენ წყალს, რაცა ბოჭკაში წყალი  $60^{\circ}$  მიაღწევს, ორთქლის წეშვების წყვეტენ და უმატებენ სო-დას იმ ვარაუდით, რომ ხის შემცირების წყლი  $10\%$  -იანა გახდეს. შემდეგ წყალს ფრენ უკუკნ და ორი ქლის გამო-ყენებით ორი საათის განმავლობაში ადულებენ. სანამ წყალი გაცვალია, მანამ ცალ 1% -იან ცალის რეზისია.

წყლით რეცხავენ. გოგირდმეავა ხსნარს ამზადებენ გოგირდ-შეავას წყალში ჩასხმით და არა პირიქით. შემდეგ ბოჭკას რეცხავენ ორჯერ ცხელი და 3-ჯერ ცივი წყლით. გარეცხილ ბოჭკას დასაწრეტად ძელებზე ათავსებენ და გოგირდს უბოლებენ.

ამ წესით დამუშავებულ ახალ ბოჭკებს ხარისხოვანი ნაზი სუფრის ღვინოების დასაყენებლად და შესანახად არ იყენებენ, მათშიც ჰიტველ წყლიწადს ორდინალურ ღვინოებს ან საკონიაკე მასალის ასხამენ.

ნახმარი ბოჭკის დამუშავება. თუ ღვინის ნადგამი ჭურჭელი კარგად არის შენახული, საქმირისია იგი ორთქლით ან ცხელი წყლით დამუშავდეს, ცივი წყალი გამოევლოს, დგარსე დაიწრიტოს და გოგირდი ეხრჩოლოს. მაგრამ ცარიელი ჭურჭელის შენახვას, სამწუნაროდ ნაკლები ყურადღება ექცევა. დაცლილი ბოჭკა გულმოდგინედ უნდა გაირეცხოს რამდენიმეჯერ ცივი წყლით იმ ვარაუდით, რომ წყალშა ჭრები გაიკორცანოს, რომელიც ხშირად დაავადების გამომწვევ თრგანისტებს შეიცავს. გარეცხვის შემდეგ ჭურჭელი უნდა დაიწრიტოს და გოგირდი ეხრჩოლოს. 1-3 გ გოგირდი ჭურჭელიცის ტევადობის ჭურჭელზე. როდესაც ჭურჭელი დიდი ხნით ცარიელი რჩება, რას თრ კვარაზი ან თვეში ურთხელ კანტერტებით გოგირდი უნდა ეხრჩოლოს.

დაავადებული ბოჭკის დამუშავება. შცირე დაავადების შემთხვევაში ბოჭკა ჯერ ცივი წყლით უნდა გამოლდეს და ორთქლით დამუშავდეს. შემდეგ გამოირცხოს 5%-იანი სოდიანი ცხელი წყლით ორჯერ, მდუღარე წყლით სამჯერ და ბოლოს ომდენიმეჯერ ცივი წყალი გამოევლოს. რეცხვის დროს ბოჭკაში წყალი 15 წუთზე ნაკლებ ხანს არ უნდა დარჩეს. გარეცხილი ბოჭკა ყნოსვით უნდა შემოწმდეს; სასურველია მისი შიგნით ელნათურით ანდა სანთლით შემოწმება. ბოჭკაში ობის აღმოჩენის შემთხვევაში, ივი ხელმიერედ უნდა გაირეცხოს.

ძლიერ დავადებული ბოჭკების დამუშავება. ალიკანტ დავადუბული ბოჭკები, რომლებშიაც ანთე-

ბული სანთელი სწრაფად ქრება, უნდა დაიშალოს და გამოშალაშინდეს, ზერქნის დაავალებული შრე ან ფსკერი ამოღებული იქნეს და ამოიწვას, რის შემდეგაც გულდასმით ვამოირეცხოს ისე, როგორც ასალი ბოჭყა.

ხის ბუტები და ჩანები იმგვარადვე ირეცხება, როგორც ბოჭყები იმ განსხვავებით, რომ ბუტესა და ჩანები მრეცხავი ჩადის და მას კარგად ჯაგრისით რეცხავს. თუ ჩანი ან ბუტი დიდი ხნის უხმარია, გარეცხვის შემდეგ იგი სოდის ხსნარით უნდა დამუშავდეს. ცარიელი ჩანის ან ბუტის დაობებისა და დაჭანებისაგან თავიდან ასაცილებლად გულმოლგინედ გარეცხვის შემდეგ იგი შიგნიდან კირის ან სოდის ნაჯერი ხსნარით იმ ვარაუდით უნდა შეთეთრდეს, რომ შიგა კედლებზე გაშრობის შემდეგ სოდის ან კირის თეთრი შრე დარჩეს. ასეთი წესით დამუშავებული სადულარი ჭურჭელი კარგად ინახება. ამ ლონისძიებების ჩატარება სასურველია წერილი ჭურჭლის მოსამზადებლადაც, როგორიც არის წნეხის კალათები, გეჭები და სხვ. ხმარებამდე ჭურჭელი ჯერ ცივი წყლით უნდა გამოლენს, ხოლო შემდეგ ორთქლით და სოდიანი ცხელი წყლით დამუშავდეს, ბოლოს კი ცივი წყლით უნდა გამოირეცხოს ენერგიულად.

როდესაც ცარიელი ბოჭყები ხანგრძლივად ინახება, ყოველ ორ კვირაში ერთხელ გოგირდი უნდა ესრიოლოს.

სალვინე ჭურჭლის შესანახი ადგილი თუ წესტიანია, მაშინ უფრო მეტადაა საჭირო წინასწარი ლონისძიებების ჩატარება. სალტეები, რომ არ დაიგანვოს სურინჯით ან შავი ლაქით უნდა შეილებოს.

ბოჭყები როც არ გამოშრეს და არ დაიშალოს ოდნავ ნესტიან შენობაში უნდა ინახებოდეს, თუ ამის შესაძლებლობა წარმოებას არ გააჩნია მას დროგამოშეებით ხიინც წყალი უნდა ესსუროს. სალტეების შემოჭერა მშრალ ბოჭყაზე არ არის მიზანშეწონილი, რადგან შემდეგ სითხის მოთავსების ან ორთქლით დამუშავების დროს იგი ზიანდება. დაუშვებელია აგრეთვე ორთქლით დამუშავებული ცხელი ბოჭყისათვის სალტის მორვება, რადგან მასაც შეუძლია გაცივების შემდეგ შისძლაშიანება.

წითელი ღვინის ნადგამი ჭურჭლის გაუფერცლება. ზოვჯერ საღვინე ჭურჭლის უქონლობის გამო თეთრი ღვინის დასაყენებლად და შესანახად წითელი ღვინის ნადგამ ჭურჭლს ხმარობენ, რას შედევადაც ჭურჭლის ფორებში დარჩენილი საღვინო ნივთიერება თეორ ღვინოში გადადის, თავის ბუნებრივ ფერს უკვლის და მის ხარისხს ვნებს. ამიტომ ჭურჭლს წინასწარ დამუშავებამდე კედლებზე გამოალექილი ღვინის ქვა უნდა მომზორდეს, ხოლო შემდეგ ენერგიულად სოდის  $10\%$ -იანი ხსნარით დამუშავდეს. ეს ოპერაცია მანამ უნდა გაგრძელდეს, სანამ ნარეცხი წყალი მთლიანად უფერული არ ვახდება, ბოლოს კი ცხელი და ცივი წყალი გამოევლოს.


#### რთველი

კახური ღვინის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული რთველის დროულად და ხარისხიანად ჩატარებაზე, ამინდის პირობებზე, მტევნის სისალეზე, ყურძნის გადამუშავებაზე, ღვინის დაყენების და მოვლის ტექნოლოგიური პროცესების სიზუსტეზე. მოკრეფილი ყურძნის ხარისხის მიხედვით შეიძლება თავიდანვე განისაზღვროს ღვინის მომავალი ღირსება. ცნობილია, რომ ყურძნის შვენის ქიმიური შედგენილობა ძალიან რთულია. ეს გარემოება ძლიერებს ტკბილის უნარს აღილად შეითვისოს ყოველგვარი გარეშე, განსაკუთრებით არასასიამოენო სუნისა და გემოს მქონე ნივთიერებანი. ეს ნივთიერებანი ხსნარად სწრაფად იქცევიან, გადასცემენ ტკბილს თავის დამახასიათებელ თვისებებს, არღვევენ მის ბუნებრივ სინაზეს, ჰარმონიას და ამრიგად ცო ზად თუ ბევრად აუხეშებენ საწყის მასალას. მით უმეტეს ეს საგრძნობი ხდება კახური ღვინის დაყენების დროს, რადგან ტკბილის დუღილში შონაწილეობას იღებენ ყურძნის მტევნის შემადგენელი ნაწილები.

ყურძნის კრეფის დაწყება დაკავშირებულია იმასთან, თუ რა ტიპის ღვინის დაყენება ვკუნტას. სუფრის კახური ტიპის ღვინისათვის რთველი მოგვიანებით უნდა ჩატარდეს, მა-

შინ როდესაც ყურძნის ტკბილში შაქრიანობა  $21-24\%$ , და მეგიანობა  $5-6\%$  მიაღწევს.

რთველის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს ყურძნის სიმწიფე, საშუალო სინჯის აღებით და ნისა შაქრიანობისა და მეგიანობის დადგენით. სინჯის აღების დროს ყურადღება ექცევა ნაკვეთის აღგილმდებარეობას. რაღან საანალიზოდ აღებული ნიმუში ნაკვეთის საშუალოს უნდა გამოხატავდეს, საანალიზო ყურძნენი იკრიფება ფართობის მიხედვით ყოველ მეხუთე, მეათე ან მეოცე ვაზიდან, როგორც მზიან, ისე დაჩრდილულ მხრიდან, ქვედა, შუა და ზედა მტევანი აიღება. დაკრეფილი ყურძნენი ხელით ლაბორატორული პატარა ჭნებით იწნებება (იხ. სურ. 4).



სურ. 4. ლაბორატორიული ჭნები

წვენი იწურება, ისხმება შუშის ვიწრო ცალინლრში და დასაწმენდად 2 საათით გრილ აღგილზე იდგმება. შაქრის საზომის საშუალებისა შაქრიანობა ირკვევა. შაქრის ვანსაზღვრის დროს, როგორც შემდეგი და კულტურის, რა-

შელშიაკ გამოსაკვლევი ტკბილი ისხმება სუფთა და მშრალი უნდა იყოს. ტკბილში ჩაშვების დროს შაქრის საზომი შემთხვევით თუ იმ დანაყოფზე დაბლა ჩაიძირა, რომელსც უნდა შემდეგ ჩერდება, ისევ ამოღებული უნდა იქნეს გადაუკლოს გამოხდილი წყალი, გამშრალდეს სუფთა ტილოთი და ხელმეორედ ფრთხილად იქნეს ჩაშვებული. ტკბილის ჩანასხმელი ცილინდრი, იმდენად ფართო უნდა იყოს, რომ ჩაშვების დროს, შაქრის საზომი ცილინდრის კედლებს არ ეხებოდეს. დანაყოფის აღნიშვნის დროს თვალი მენისკის ქვედა ხაზის

დონეზე უნდა გვეჭიროს, რადგან ტკბილის ტურა გავლენას ახდენს განსაზღვრის სიზუსტეს. ამიტომ შაქრის საზომის ჩერებაში ტკბილის შესწორება სათანადო ცხრილის შიხედვით უნდა მოხდეს (იხ. სურ. 5).

მეუღიანობის განსაზღვრისათვის ჭიქაში პი-ბლეჭით 15 მლ ტკბილს ვათავსებთ, ვათმობთ და 3 ურეტრიდან წვეთ-წვეთად ნაღრიუმის 1/3 ნორმა-ლურ ხსნარს ვასხამთ. ხსნარს მინის წკირით მანამდე ვურევთ, სანამ ტკბილი არ გაჩეიტრალდება. ტკბილის რეაქციას ლაქმუსის ჭილალდით ვიკ-ლურ ტკბილის გასანეიტრალებლურ დახარჯული 1 მლ ნატრიუმის ტუტე გვიჩვენებს მეუ-გიანობის რაოდენობას გრამობით ერთ ლიტრ ტკბილში (იხ. სურ. 6). ასეთი გამოკვლევა რთველამდე ორი კვირით აღრე უნდა დავიწყოთ და ყოველ ორ-სამ დღეში ერთხელ გავიმეოროთ და როდესაც დავინახავთ, რომ შაქრიანობა-მეუღიანობა სასურველ რაოდენობას აღწევს რთველს შევუდგებით.

ყურძნის არათანაბარი დამწიფების შემთხვევაში რთველი შერჩევით ტარდება, ხოლო ერთნაირი სიმწიფეისას—ერთდრო-ჟღად; კახური ღვინოების დასაყენებლადაც რთველი ერთდროული კარგება.


დასაუცულ კენაცში ყურძენი დახარისხების იკრიფება, დანიანებული შტევნის ან ცალკეული მარცვლის შოშორებით.

როდესაც დაზიანებული მტევნების რაოდენობა მცირეა, და-  
ხარისხება სასურველია მტევნის აქრის დროს ხდებოდს, რის-  
თვისაც მკრეფავს ორგანულფილებიანი კალათა უნდა ჰქონდეს.

ზოგი ფიქრობს, რომ ყურძნის საერთო მასაში ცალ-  
კეულ დაზიანებულ მარცვლებს არ შეუძლია ღვინის ხარისხზე  
რაიმე შესამჩნევი გავლენის მოხდენა, მაგრამ ეს სავსებით  
მცდარი აზრია.

სიდამპლით, ყურძნის ჭიით, ჭრაქით ან ნაცირით დაზი-  
ანებული ყურძნისაგან მიღებული ტკბილი დაბალი ხარისხი-  
საა; ასეთივე დაბალი ხარისხის გამოდის ღვინოც. ყურძნის  
დახარისხების საკითხი მეღვინეობაში არ უნდა იყოს სადავო.  
ყურძნის დახარისხება, თუნდაც ნაწილობრივ რომ იყოს იგი  
დაზიანებული, მაინც აუცილებელია. ამის დამაბრკოლებელ  
მიზეზად არავითარ შემთხვევაში არ უნ-  
და გახდეს ზედმეტი მუშახელის და  
ხარჯების გაწევის საჭიროება. ღვინოს  
არასასიამოვნო გემოს განსაკუთრებით  
ნაცრისფერი სიდამპლე აძლევს, ასეთ  
ღვინოს გადაბრუნებისაკენ მიღრეკი-  
ლება ახასიათებს: არასასიამოვნო გემო  
ახლავს აგრეთვე ჭრაქით და ნაცრით  
დაზიანებული ყურძნისაგან დამზადე-  
ბულ ღვინოს. გარდა იმისა, რომ ნა-  
ცრი ცუდ გავლენას ახდენს ღვინის  
გემურ თვისებულება, იგი ძნელად იწმინ-  
დება. რადგან ასეთი ყურძნის წვენი  
ნაკლებშაქრიანია, მომეტებული სიმჟავე  
აქვს და მდიდარია ცილოვანი ნივთიე-  
რებებით, ღვინი დასაძველებლად უვარ-  
გისია და დაავადებათა შიმართ ნაკლებ-  
გამძლეა.

ზოგიერთი შეურნე ვენახს რთვე-  
ლის წინა დღეებში რწყავს, რაც და-  
უშვებელად უნდა ჩაითვალის. ამით



სურ. 6. მეურისანობის გან-  
მსაზღვრელი ხელსაწყო-  
ები: 1. შტატივი, 2. დგა-  
მი, 3. პიპეტი, 4. ბიუ-  
რეტი, 5. ჭიქ.


ლვინო არ უმჯობესდება, პირიქით, მისი ხარისხი უარესდება. არ შეიძლება აგრეთვე ნამიანი ყურძნის დაკრეფი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შაქრიანობა და მევიანობა მცირდება.

ყურძნის კრეფა უნდა ჩატარდეს კარგ და მშრალ ამინდში. უნდა ვერიდოთ რთველის ჩატარებას განსაკუთრებით ძლიერი წევიშების შემდეგ. რადგან ფესვებით კარბად შეწოვილი ტენი ათხევადღებს ჩაყოფში წვენს და საკმაოდ ამცირებს შაქრიანობას, სასურველია რთველი 2—3 დღით შევაჩეროთ, რომ შაქრიანობამ ნორმალურ დონეს მიაღწიოს. დაუშვებელია აგრეთვე ცვარით დაფარული ყურძნის მოკრეფა, რადგან ცივია ყურძნენმა შეიძლება დუღილი შეაფერხოს და აგრეთვე განზავებასაც ექნეს ადგილი, ამიტომ რთველი უნდა დავიწყოთ ყურძენზე ნამის შეშრობის შემდეგ. ყურძნის კრეფა სასურველია ვაწარმოოთ 10 კილოგრამიან იფნის ან თხილის ქერქგაცლილ კალათებში, ანდა პატარა მუხის ხელჩაფებში, საიდანაც მარანში გადასატანი ყურძენი გადაიყრება სატრანსპორტო 80 კილოგრამიან გოდრებში ან ხის ტაგნებში (იხ. სურ. 7).

იმ შემთხვევაში, როცა ვენახი მარნიდან საკმაოდ დაშორებულია სატრანსპორტოდ ხის ტაგნები უნდა გამოვიყენოთ, რომ ყურძნის დაჭყლეტის შედეგად წვენის დანაკარგს არ ჰქონდეს ადგილი. ყურძნის კოდში დაჭყლეტის უნდა ვირიდოთ, რადგან საუკეთესო პირობები იქმნება ტკბილის ასაღულებლად განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ცხელი შემოდგომად, ამ დოოს შეისლება აღგილი ჰქონდეს ტმრის და სხვადასხვა სნეულების გამომწვევ მიკროორგანიზმების განვითარებას; რაც აუცილებლივ ვათუარესებს ლვინის ხარისხს. ვენახიდან მარანში ყურძნის გადაზიდვა უნდა ისე სწრაფად განხორციელდეს, რომ დაკრეფისა და გადამუშავების დაწყების შორის, რაც შეიძლება მცირე დრო დარჩეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ საფუვრები თბილ ამინდში სწრაფად მრავლდებიან და ყოველ ორ საათში უჯრედების ახალ გენერაციას ჰქმნიან, რამაც შეიძლება დუღილი გამოიწვიოს და შემდგომში არანორმალურად წარიშართოს. ცივ შემოდ-

გომაზე ეს სისწრავე შეიძლება ნაწილობრივ შემცირდეს, მაგრამ სასურველი არაა დაჭკლეტალი ყურძენი ღიღიანს გავაჩეროთ ვენახში ანდა მარანში. ვენარიდან მარანში ყურძნის გადაზიდვა ნორმალურად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მას დასჭირდა არა უმეტეს 1—2 საათისა. ამ დონის გადიდება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ შტოკების სისალე უარის წილებულია.



სურ. 7. ყურძნის საკრეფი კალათები

მარანში მოტანილი ყურძენი უნდა აიწონოს და საშუალო სინჯით განისაზღვროს შაქრიანობა და მჟავიანობა, მიღებული მაჩვენებლები შეტანილ უნდა იქნეს სათანადო დავთარში.

**კახური ტიპის თვთის სუპრის დვინის დაყვანება**


კახური ტიპის სუფრის ღვინოები ძველთაგანვე ცნობილია და ყოველთვის ღირსეული აღგილი ეკავა ქართული

ლვინოების მრავალფეროვან ასორტიმენტში. მთელ რიგ გა-  
მოჩენილ ნკველვართა და მოგზაურთა მონაცემები მოწმობები,  
რომ კახურ ლვინოებს ყოველთვის საკმაოდ მაღალი რეპუტა-  
ცია ჰქონდათ მოპოვებული და ჩვენს წინაპრებს კარგად ჰქო-  
ნიათ ათვისებული ამ ტიპის ლვინის დაყენების ხელოვნება.


თეთრი სუფრის ლვინოების არსებულ ტიპებს შორის  
ყველაზე ყუიტიან საშარგებლო ლვინოდ კახური ტიპის სუფ-  
რის ლვინი ითვლება. მას მეტი სხეული და სიძლიერე ახასია-  
თებს და მას დროს დიდი რაოდენობით კუებითი მნიშვნე-  
ლობის ნივთიერებებს შეიცავს. კახური ლვინო შდიდარია ტა-  
ნინით, რის გამოც მასში დაუანგვითი ხასიათის რეაქციები,  
უფრო ენერგიული მიმდინარეობს. ბოჭკაში დამწიფების  
შემთხვევაში სულ შოკლე დროის მონაცემთში კახური ლვი-  
ნოები ნაკლებად სასიამოვნო, გადამწიფებული და უპარმო-  
ნიო დგება, რისთვისაც ქართველი ხალხი შეს ქვევრში აყე-  
ნებს და ავარგებს. ქვევრში დაყენებული კახური ლვინის ხა-  
რისხი ბევრად უკეთესია ხის ჭურჭელში დაყენებულ და და-  
ვარგებულ ლვინის ხარისხზე, მას სპეციფიური ხილის გემო  
და შეტი ტიპობრივობა ახასიათებს. კახური ლვინოების გა-  
მოჩენილი მცოდნენი ხშირად ალიარებენ, რომ — „უზმოზედაც  
კი ნორმალური ოდენობით (1 კგ წონაზე 2,5 გ) კახური ლვინო  
სიამოვნებით ისმება და ორგანიზმიც მას სიამოვნებით ლე-  
ბულობს, როგორც შამპანურს“.

კახური ლვინის ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული ყურძ-  
ნის სისამოვნო დამარცხული ყურძნილობას ურიგო იახური ლვინო  
დამოვნების დამარცხული მტევნის უქმადებელური ნაწილე-  
ბის შონაწილეობას შესამჩნევი გავლენა შეუძლია შოახდინოს  
ლვინის ხარისხზე. სიდამპლით, ყურძნის ჭით, კრაქით ან  
ნაცრით დასიანებული ყურძნი მკეთრად მოქმედებს კახური  
ლვინის საპოლოო ღირსებაზე, რისთვისაც ყურძნის გადარ-  
ჩებას ამ ტიპის ლვინოების დაყენების დროს განსაკუთრე-  
ბული ყურძნები უნდა მიექცეს, რადგან მცირე ოდენობი-  
თაც, რომ შესყვეს ასეთი ყურძნი კარგი ლვინო არ დადგება.  
ყურძნის მღიერ გადამწიფება კახურ ლვინოებს არ უხდება

რაღაც მეურიანობა საკმაოდ მცირდება და ლვინო დუნე, უშინარსო დგება და ბოლოს ძნელად იწმინდება. ნარწყავი ვენახის ყურძენი რაც უფრო გვიან დაიკრიფება, ისა სჯობია, ყურძენი თუ ნამიანია უმჯობესია რთველი მისი შეშრობის შემდეგ ჩატარდეს, რაღაც ერთ შემთხვევაში მას შეუძლია განაზავოს ჭვენი, ხოლო მეორე მხრივ თუ მას დიდხანს დავტოვებთ და არ გადავამუშავებთ შესაძლოა ჩასურდეს, დუღილის ტემპერატურა აიწიოს, ლვინო დაუდუღარი დარჩეს და თუ სათანადოდ არ მოუკლით დაგვიავადდეს კიდეც.




სურ. 8. ყურძნის საჭყლეტი მექანიკური მანქანა



სურ. 9. ქვის საწნაპელი

მარანში მოტანილი ყურძენი მექანიკური საჭყლეტი მანქანით (იხ. სურ. 8 და 12) ან ნავში (იხ. სურ. 9 და 10) უნდა

დაიწუროს და გადამუშავებული მასა წინასწარ გარეცხილ და გოგირდ ნახრჩოლებ ქვევრში მოთავსდეს. გადამუშავებულ დურდოს საფუვრის წმინდა კულტურა უნდა დაემატოს იმ ვარაუდით, რომ იგა მედედებული შასის საერთო რაოდენობის 3—4%-ს შეადგენდეს. დუღილის დროს ამოტივტივებულ ჭაჭას უნდა ენერგულად დაურიოთ, რომ არ მოხდეს მოტივტივე „ქუდის“ დამარტინი. სამ საათში ერთხელ მაღულარი დურდოს დარევა საფუვრის მოქმედებას აძლიერებს და აც-



სურ. 10. ყურძნის საპყლეტი ზის ნავი

ხოველებს (ი. სურ. 11). აჯრეოვე ათანაბრებს დუღილის ტემპერატურას და ვლებულობო შედარებით უფრო კარგი ფერის ღვინოს. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ღვინო მთლად დადუოდეს და არ დარჩეს მოტკბო. დაუდულარი მოტკბო ღვინო გამძლე არ არის, მალე ფუჭდება და მფავ-ლება.


ქვევრში ტკბილის დუღილის მოთავების შემდეგ საღ-ვინე ჭურჭელი იმგვარივე მასალით უნდა შეივსოს, ერთხელ გავ-სებულ ჭურჭელში ღვინო თანდასან კლებულობს, რადგან საღ-ვინე ჭურჭლის ფორებში ღვინო ეონავს და შრება. აშრობის შე-დეგად დარჩენილ თავისუფალ არეს იკავებს ჰაერის ეანგბადი, რომელიც ერთი მხრივ, სასარგებლოა ღვინის დაწმენდისა და დამწიფებისათვის, ნეორე მხრივ, ქარბი რაოდენობის შემთხ-

ხვევაში უარყოფითად მოქმედებს ღვინოზე და დაავადების ერთ-ერთი მიზეზი ხდება.

კურკელი, როგორც არ უნდა იყოს სავსე, იგი მაინც არ შეიძლება თავისუფალი იყოს ჰაერის ფანგბაღის მოქმედებისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში ისე ნელა და თანდათანობით მიმდინარეობს დაფანგვის პროცესი, რომ ეს ღვინის დავარგებისათვის აუცილებელია. კურკლის დანაკლულების მთავარი მიზეზია: ტემპერატურა, სინესტე და საღვინე კურკელი-მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ღვინის ქიმიურ შედგენილობასაც.




სურ: 11.  
დურდოს  
დასარევი



სურ: 12. ფულოტუმბრ

კურკლის სინაკლულე მით უფრო საშიშია, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა მარანში. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ უცბად და შეუმჩნევლად იმარცება ღვინი და იოლად ვითარდება მასში ბრკე — ეს ყველაფერი ღვინის სისუსტის და კურკლის. შეუვსებლობის მიზეზია. პირველ გადალებაშდე ქვეზ-რები ყოველ კვირაში ერთხელ, ხოლო შემდეგ ყოველ ორ

კვირაში ერთხელ შეიცვება. შევსება წარმოებს მით უფრო ხშირად, რაც უფრო ინტენსიურია აშრობა და რაც უფრო ახალგაზრდა და სუსტია ღვინო. მსხვილ მეურნეობაში, სა- დაც შევსებას ხელით აწარმოებენ, სპეციალურ შესავსებს იყე- ნებენ. შევსების დროს ღვინოს უმატებენ მანამდე, სასამ ჭურ- ჭელი პირამდე არ აივსება, რის შემდეგ საღვინე ჭურჭელს გერმეტულად სარქველით ხურავენ. იმ შემთხვევაში თუ ქვევრის პირზე ბრკით ან სხვა რაიმე ავადმყოფობით გამოწვეული აპკი იქნა მემჩნეული, მაშინ საღვინე ჭურჭელის შევსებამდე ბრკე



სურ. 13. დუღილი  
თავისია ქვევრში

საცრის საშუალებით ან სუჟოა ტი- ლოთი უნდა მოიწმინდოს. დაავადების მიღრეკილების მქონე ღვინოები განსა- კუთრებულ მოვლას თხოულობენ. საღ- ვინე ჭურჭელის შევსება ფრიად საპა- სუხისმგებლო საქმეა. მცღვინე ამ ოპე- რაციას გულმოდგინედ უნდა ატარებ- დეს, ამოწმებდეს დასამატებელი ღვინის ხერისხს, როგორც ქიმიური ისე ორ- განოლექტიკურ თვისცვების მხრივ. და- სამატებელი ღვინო სალი და სუფთა. უნდა იყოს, შესაუსებად იმავე წლისა და იმავე ჯიშის ღვინო უნდა ვიხმა- როთ. ძეველი ღვინო ახალი ღვინით არ უნდა შევავსოთ მით უმეტეს, თუ ახალ ღვინოში კიდევ არის დაუმლელი შა- ქარი, რის გამო შეიძლება დაძველებულ ღვინომ დუღილი დაიწყოს, აიმღვრეს იგი და გემოც შეიცვალოს. ახალი ღვი- ნის ძველ ღვინოთი შევსება დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ქვევრის პი- რის და სარქველის სისუფთავეს, რაღან ეს ადგილები ძირი- თად კერებს წარმოადგენს დაავადების გაცრცელებისათვის.: გულმოდგინედ და დაკვირვებით უნდა მოიწმინდოს ღვინით დასვენებული ადგილები და ქვევრის პირი, განსაკუთრებით, მაშინ, როცე ღვინო წრკითაა დაავადებული. ჭვევონქ შოთავ-

სებული ლვინო ჰაერის ზეგავლენისაგან, რომ დავიცვათ სა-  
ჭიროა იგი პირამდე შევავსოთ, თავზე თიხის რკალი გავუკე-  
თოთ და გოგირდის ხრჩოლების შემდეგ სარქველით ჰერმე-  
ტულად დავხუროთ და მიწა მივაყაროთ.

ქვევრის თავი (განსაკუთრებით ზაფხულში) გრილად  
უნდა ინახებოდეს, რისთვისაც ზოგ შემთხვევაში შეიძლება  
მორწყვაც ჩავატაროთ.

ლვინო ქვევრში უფრო იოლად ავადდება, რისთვისაც  
ქვევრში მოთავსებული ლვინის ხშირ შემოწმებასთან ერთად  
ქიმიური საშუალებით მქროლავი მუავიანობის გამოკვლევაა  
საჭირო. აუცილებელია ორ კვირაში ერთხელ ქვევრში ლვი-  
ნის ხარისხი შევამოწმოთ და საჭირო ღონისძიებები დავსა-  
ხოთ, ხოლო, რაც მოავარია, დაკლების შემთხვევაში შევავ-  
სოთ. სარქველი ყოველ თვეში ერთხელ სოღის 2—3%-იანი  
ცხელი ხსნარით უნდა გავრცეხოთ, მშრალი ტილოთი მოვწ-  
მინდოთ და დროგაშომვებით სპირტით დასცელებული მიგა-  
რით მოვასუფთავოთ. ბურნის გაჩენის შემთხვევაში იგი სპირ-  
ტით გაულენთილი ბაშბის პატრუქით უნდა მოვწვათ. ლვინო  
ჭაჭაზე დიდხანს არ უნდა გავაჩეროთ, საღ ჭაჭაზე დასაშვე-  
ბია ლვინის დატოვება მარტის დამლევამდე. შეტდეგ კი აუცი-  
ლებლივ უნდა გადავილოთ, რადგან სითბო გამოიწვევს ნა-  
წილობრივ დაწმენდილი ლვინის ამღვრევას. ჭაჭაზე ხანგრძ-  
ლივ დატოვებული ლვინო უფრო კარგად იწმინდება, რად-  
გან დალექვის დროს მექანიკურად იტაცებს სიმღვრივის გა-  
მომწვევ ნიერიერებებს და ლექავს მას. უკანასკნელი გამოკვ-  
ლევებით დადასტურებულია აგრეთვე, რომ ლვინო ნაწილობ-  
რივ კარგავს ტანინს და უფრო ჰარმონიული და არომატი-  
ანი დგება. ჭურჭელი, რომელშიაც ჭაჭაზიან ლვინის გადავი-  
ლებთ, სისტემატურად უნდა შევავსოთ, ქვევრის პირი მოვა-  
სუფთავოთ და სათანადო მოვლის შემდეგ პატარა ჯამით ან  
პატრუქით გოგირდი სუსტად უნდა უხრჩოლოთ, რომ ქვევ-  
რის პირზე, ჰაერის არსებობის გამო, ბრკის მიკროორგანიზ-  
მებს არ მიეცეთ განვითარების საშუალება.

ჭაჭიდან ლვინის მოხსნას იმგვარადვე აწარმოებენ, როგორც წითელი ლვინოების შემთხვევაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ლვინო შედარებით უფრო დაწმენდილია და მისი გადალებისას სუფთა ლვინის ფრაქციებს ცალ-ცალკე იღებენ.

ქვევრის ძირში დარჩენილ ჭაჭას იღებენ და წნევავენ, ნაწნებ ფრაქციას ცალკე ათავსებენ, ჭაჭიდან კი არაყსა ხდიან. ჭაჭიდან მოხსნის შემდეგ ქვევრებში ან ბოჭკაში მოთავსებული ლვინო, როგორც კი დაიწმენდს, იწყებენ მის პირველ გადაღებას, ე. ი. მისი ლექიდან მოხსნას. ლვინის დაწმენდას ხელს უწყობს განსაკუთრებით დაბალი ტემპერატურა, რისთვისაც ახალგაზრდა ლვინოებს პირველ გადაღებამდე ისევ მარნებში ცივი ადგილას სტაციებენ. დაბალ ტემპერატურის მოქმედება სასურველია ერთ კვირას გაგრძელდეს და  $3-4^{\circ}$  დაბლა არ დაიწიოს. ნორმალურ პირობებში ლვინის პირველ გადაღებას იწყებენ ყურძნის დაკრეფიდან ორი თვის შემდეგ, რომლის დროს ლვინის განივებით გადაღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამის დასადგენად ვიღებთ ლვინის ჭაშნიკს, ვასხამით ჭურჭელში ნაკლულად და ენერგიულად ვანჯლრევო და ვტოვებთ  $3-4$  დღის განმავლობაში. თუ ამ პროცესის შედეგად ჭაშნიკმა ფერი არ შეიცვალა, მაშინ ლვინო ჰაერმიუქარებლად, დახურულად გოგირდნახრჩოლებ ქვევრში ან ბოჭკაში უნდა გადავიღოთ. ლვინის განივებით გადაღებას მეორედ გადაღების დროს ახდენენ. როდესაც ლვინის ნიმუშს უკვე დაეანგულს აღმოაჩენენ, მას ენერგიულად არხევენ, გოგირდს უხრჩოლებენ, აცლიან საფუვრის უჯრედებს რომ დაილექოს და შემდეგ იღებენ. ამ ოპერაციის ჩატარებით ლვინო აბსორბციის შედეგად თავისუფლდება დაუნგულ ნივთიერებათაგან. ლვინის გადაღება უმჯობესია ჩატარდეს ზამთრის ცივ, მაგრამ მოწმენდილ მზიან ამინდში, რაღვან ამ დროს ლვინო დამშეიდებულია და კარგად არის დაწმენდილი. ლვინის გადაღება დიდი სიფრთხილით უნდა ჩატარდეს. თუ ლვინი ოდნავ მაინც შეირხა, ლექი იწყებს ზევით ამოტივტივებას, რაც რასაკვირველია, ლვინოს ამღვრევს

და ეს ოპერაცია თავის მიზანს ვერ აღწევს, რადგან ამ დროს ლვინოში თხლე ბევრია და ძლიერ ადვილად იძლვორება ლვინო. ლვინის გადალებისას ქვევრებს სარქველი ეხდება, ტუმბოს მიმღებ შლანგზე მიმაგრებული სიფონი ქვევრში თავსდება და დაწმენდილი ლვინო გოგირდნახრჩოლებ სუფთა ქვევრში ან ბოჭკაში გადაიღება. გოგირდი მრავალი სხვადასხვა სენის საწინააღმდეგო საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა. გოგირდის კედეა უფრო მეტად საჭიროა დაავადებულ ყურძნი. დან დაყენებულ ლვინოების გადალების დროს. როდესაც ონ-კანიდან სუფთა ლვინის დენა თითქმის შეწყდება, ოპერაციას ამთავრებენ. პირველი გადალების შემდეგ, როდესაც ლვინო საკმაოდ დაიწმენდს, მეორედ გადალებას აწარმოებენ, მაგრამ საკმაო სიფრთხილით, ვიდრე პირველი გადალების შეზოხვევაში.

ამგვარად მიღებული ლვინო გაზაფხულამდე მარანში რჩება, შესაძლებელია მისი სარდაფში ვადატანაც. პირველი გადალების დროს, რაც ირ უნდა წმინდა იყოს ლვინო, გაზაფხულამდე მაინც თხლეს იკიდებს, ამიტომ გაზაფხულზე ლვინის მეორედ გადალებაა საჭირო. მეორედ ლვინის გადალება მარტის თელში უნდა ჰით დას კაზაციულზე გადაუდებლობა ძალიან ავნებს ლვინოს, რადგან დადგება თუ არა თბილი ამინდები იგი შეთბება; წესითარ ლვინოში დარჩნილი ნახშირის მეავა თანდათან ზევით ამოვა, ჭურჭლის ფსკერი-დან თან ამოიყოლებს თხლეს და ამლვრეცს ლვინის, რომელიც შემდეგ ძნელად გასაწმენდი ხდება. გარდა ამისა მღვრიე ლვინოში ყოველგვარი სენი ვრცელდება.

ზურდის გოგირდის შემაღებელი ნაწილების გავლენა კაზური დაწინის ხარისხზე

კახური ტიპის თეთრი სუფრის ლვინოების ღირსებაში არსებითი როლი ყურანის შტევნის შეძალებელ ნაწილებს უნდა მივაკუთვნოთ. ეს ნაწილები ლვინოს სიენებ დამახასიათებელ ვანილის გემოს, ტიპობრივ ფერს, პარმონიულობას და შინაარსს. კახური ტიპის ლვინის ხარისხს შტევნის ცალ-

კული შემადგენელი ნაწილების მოქმედების საკითხის გამოსაკვლევაზ ჩეც მიერ წირმოებული იყო სათანადო ცდები. კლერტზე დაყენებულ ღვითოებს ახასიათებს ლია ჩალისფერი, სასიამოვნო გემო და მჩატე სხეული. კლერტიდან საბოლოო პროდუქტში—ღვინოში დუღილის პროცესში გადადის მცირეოდენი ტანინი, აგრეთვე უმნიშვნელოდ იზრდება პოლიფენოლები, ხოლო შესამჩნევად ტიტრული მეტანონბა. შემოუსვლელ კლერტში დაყენებულ ღვინოებს ემჩნევა ორასასიამოვნო მწყარე სისტემის მწყლარტე გემო. კანი სპეციფიკური ჯიშურ არომატს სძენს საბოლოო პროდუქტს. კანიდან დუღილის პროცესში ძლიერ მცირე რაოდენობით გადადის მორიმლავი ნივთიერება და პოლიფენოლები. კახური ღვინის მაღალარისონება ძირითადად წიპჭის შედევად წარმოიშვება, იგი ღვინოს სძენს დამახასიათებელ ვანილის გამოს, ტიპობრივ ფერს და გემურ შინაარსს. წიპჭანე დაყენებულ ღვინოება ტანიდების რაოდენობა მატულობს, რაც შეეხება ტიტრულ შეკვეთანობას იგი უმნიშვნელოდ მცირდება.

ღვინის დაწადებისას ყურძნის მტევნის შემადგენელი ყველა ნაწილი ურთიანეთისაგან განსხვავებულ სხვადასხვა ხასიათია დადასტით თკასებებს სძენს კახურ ღვინოს. მოლიან ჭაჭაზე დაყენებულ ღვინოში, როდესაც მონაწილეობს ყურძნის მტევნის შემადგენელი ყველა ნაწილი დუღილის პროცესში და შემდგომ ღვინის დავარგების სტადიაში შეთლიანობას სძენს პროდუქტს, ღვინოში იგრძნობა ჰარმონიულობა და ღვინის ცალკეულ შემადგენელ ნაწილთა დამატასიათებელი ურთიერთ შეთანაწყობა.

### ათისალავ ცივთიმობათა ცვლილებები უზრძნის მომზიცვებასა და ვაზის ცოდნის მიზანობასთან დაკავშირებით

ღვინის საერთო ბუნება და მისი თვისებები დამკიდებულია ვაზის ჯიშე, აგრეთვე, იმ ბუნებრივ პირობებზე, რომლებშიც ვაზი იზრდება. ვაზის ზრდის სიძლიერის, მოსავლის რაოდენობასა და ხარისხს შორის არსებობს განსაზღვრული შესაბამისობა და ამ შესაბამისობის უფრო ზუსტად შედევ-

ლობაში მიღებით შეიძლება მიღწეულ იქნეს მოსავლის მაქ-  
სიმალურად გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება. ყურძნის  
წვენის ხარისხზე საგრძნობ გავლენას ახდენს, აგრეთვე ვაზის  
კულტურის მოვლის მეთოდები და წესები. როგორც რიგი  
მკელევრების მონაცემებიდან ჩანს, მოკლედ გასხლული ვაზი-  
უფრო მაღალშაქრიან ტკბილს იძლევა, ვიდრე გრძლად გასხლუ-  
ლი ვაზი. კახური ტიპის თეთრი ღვინოების დაყენების დროს  
ყურძნის ხარისხის მთავარ მაჩვენებლად შაქრიანობა, მევია-  
ნობა და მთრიმლავ ნივთიერებათა ოდენობა უნდა მიეკინოთ.

კახური ღვინის ქიმიური და ორგანოლეპტიკური შედეგენი-  
ლობაზე ვაზის ფორმირებისა და დატვირთვის გავლენის საკით-  
ხის შესწავლის შედეგებმა იმ დასკვნაშდე მიგვიყვანა, რომ ვაზის  
ძლიერი დატვირთვის დროს ყურძნის მტევნის შემადგენელ ნა-  
წილებში ტანიდების რაოდენობა დიდდება, ეს კი განსაკუთ-  
რებულ გავლენას ახდენს ღვინის ტიპიურობაზე. ღვინის სპირ-  
ტიანობა მით უფრო დიდია, ხოლო მევიანობა ზეირე, რამ-  
დენადაც დატვირთვა სუსტია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა თუ ვიალა-ვერტოლეტის სკო-  
ლის მიხედვით ვიფიქრებთ, რომ ყურძნის რაოდენობა, ე. ი.  
მოსავლიანობა და ღვინის ხარისხი ურთიერთ შორის ანტა-  
გონისტურ დამოკიდებულებაშია. ასეთი მავნე მითითება უსა-  
თუოდ გამომდინარეობს აგროტექნიკურ ღონისძიებათა რო-  
ლის შეუფასებლობილან, მცენარის განვითარების რეგული-  
რებისა და ამ მცენარის ნაყოფის ქიმიურ შედეგენილობას  
შორის.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა მოვიყვანოთ პროფ.  
ვ. ქანთარიას სამართლიანი შეხედულება „მიჩურინის მოძღვ-  
რების მიხედვით აგროტექნიკა მნიშვნელოვან როლს თამა-  
შობს კულტურულ მცენარეთა ზრდისა და განვითარების მართ-  
ვაში. მეცნიანეობაში სწორი აგროტექნიკის მნიშვნელობა.  
განსაკუთრებით დიდია, ვინაიდან სხვა მრავალწლოვან კულ-  
ტურათა შორის ვაზი ყველაზე მეტად პლასტიკურ მცენარეს  
წარმოადგენს და განსაკუთრებით ძლიერ რეაქციებს ახდენს  
ზემოქმედების აგროტექნიკურ წესებსა და გარემოს პირო-

ბებზე“. კახური ტიპის თეთრი სუფრის ლვინო ხარისხოვანი და ტიპობრივი მაშინ დგება, როცა ყურძენი ტექნიკურად მწიფება და თანაფარდობა მთრიმლავ და ექსტრაქტროვან ნივთიერებათა თანაზომიერია. კახური ლვინო, რომელიც ქარბად შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, უხეში და ჰარმონია მოქლებულია. ეს მდგომარეობა აუცილებლივ გვიკარნახებს ვაზის ძლიერ დატვირთვის პირობებში რთველის შედარებით გვიან ჩატარებას. საჭიროა შევიმუშაოთ ამა თუ იმ ლვინის ტიპისათვის შესაფერისი ფორმა და დატვირთვა ადგილმდებარეობის, ჰავის, კვების არისა და ჯიშის მიხედვით. ჩვენი აზრით, გასხვლის კახური ფორმა, რომელიც ქართველმა ხალხმა მრავალწლიური მუშაობის შედეგად შეიმუშავა, აპირობებს ძლიერი დატვირთვის ფორმასთან ერთად სითბოს, სინათლისა და ჰაერის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას.

### ვაზის სხვადასხვა ავადგენოფოგათა გავლენა კახური ღვინის ღისებაზე

ვაზის ვეადმისულობანი ათასსასურულ გავლენას ახდენენ ღვინის ღირსებაზე. ვაზის ნაყოფზე განვითარებული მიკროორგანიზმები არღვევენ სუნთქვას და ასიმილაციის მთავარ ორგანოებს და ამცირებენ მთელ რიგ ნივთიერებათა წარმოშობისა და დაგროვების პროცესებს ყურძენში, რის გამოც ღვინო ხშირად ნაკლებ ალკოჰოლიანი, უშინაარსო და არა-ტიპობრივი ფერისა დგება. ეს უფრო შესამჩნევი ხდება კახური ტიპის ღვინოების დაყენების დროს, რაღაც ტკბილის დუღილის პროცესში მონაწილეობას იღებს მტევნის შემაღენელი ნაწილებიც. ყურძნის დაავადებისას მთრიმლავ ნივთიერებათა შედგენილობა საფუძვლიანად მცირდება, რაც უარ ყოფით გავლენას ახდენს კახური ტიპის ღვინის ხარისხზე. მოგვყავს შედარებითი მონაცემები მთრიმლავ ნივთიერებათა შედგენილობაზე ჯანსაღ და დაავადებულ ყურძნის ტევნის ნაწილებში (იხ. ცხრ. 15).

မြတ်စာစိများ နှင့်စာကြောင်းတွင် ရှာတော်ဝါဒ၊ လျှောပို့တွေလျှော်စီ အိမ်စီ ဖူးလျှော်စီ  
(မြေး-ကဲ ၁ ၃ မီလီလာ နို့တွေ့ကြော်ပုံ)

ပြန်လည် 15

ခုပါနီယာ	ခုပါနီယာ	ပုံမှန် ပုံမှန်		ပုံမှန် ပုံမှန်		ပုံမှန် ပုံမှန်	
		ပုံမှန် ပုံမှန်					
1	Asper. <i>Albus nigers</i>	11.72	3.52	48.93	19.4	4.1	1.9
2	အနံရာ အုပ်စု	8.82	3.42	56.54	15.87	3.1	1.52
3	ပာကျိုးပျော်ရာ ပေလာမိုးဘု	11.72	3.42	51.15	15.70	4.1	1.52
4	ဆွေးကျော်	9.99	3.42	45.27	21.75	4.1	1.52
5	ပျော်ပြောဏ်ပျော်	5.88	—	52.33	14.70	—	1.52
6	တော်တော် ပေလာမိုးဘု	15.5	2.26	49.92	18.81	1.9	0.76
7	ပာလေ ပူးကျော် ဆာနာပါ ပူးကျော်	19.4	—	108.20	44.70	1.19	19.52
8	ပူးကျော် ပူးကျော် ပူးကျော် ပူးကျော်	71.0	8.23	6.08	0.38	—	14.11
		55.44	9.40	—	0.38	92.90	15.87
						—	124.78
						12.9	—

როგორც მე-15 ცხრილიდან ჩანს ყურძნის დაავადებისას საგრძნობლად მცირდება წყალში ხსნადი ნივთიერებანი, წიპ-წაში და თითქმის ეს ნივთიერებანი უცვლელი რჩება. უნდა აღინიშნოს რომ დაავადებანი აგრეთვე უარყოფითად მოქმედებენ ყურძნები არსებულ არომატულ ნივთიერებებზე, ამიტომ მაღალხარისხოვანი კასური ღვინის მისალებად აუკილებელ პირობად უნდა ჩაითყალოს ყურძნის გადარჩევა.

## ნაქანი წვენის გამოყენება ხარისხოვანი კაზუალ ლაინის დასაზენებლად

ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგიის ევროპული წესით თეთრი სუჟეტის ღვინის დაყენების დროს, ნაქანი წვენის გამოსაყალი საერთოდ მიღებული ტკბილის ოდენობის 30%-ს აღწევს, რომლისგანაც წარმოება ორდინალურ ან საკონიკურ სპირტის ღვინომასალას ღებულობს. მისი გამოყენება წარმოებს აგრეთვე ხარისხოვანი კასური ღვინოების კუპაჟებში, რაც საგრძნობლად უარყოფით გავლენას ახდენს კასური ტიპის იეთრი სუფრის ღვინოების ხარისხს, რაღაც ნაქანი ტკბილიდან მიღებული ღვინო თავისი კონდიციური შედეგნილობით არც კასური და არც ევროპული ტიპის ღვინოებს არ მიეკუთვნება.

ამ მოსაზრებათა გამო ნაქანი წვენის გამოყენების რაციონალური წესის შემუშავება მეღვინეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკუთხევლი ითვლება. ნაქანი წვენიდან ღვინის დაყენების დროს ჩვენ ვამოკიყენეთ ფერმენტირებული ჭავა.

თეორიული მოსაზრებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ წესის შემუშავებას შემდეგიდან გამომდინარეობს. აქტიური დამუანგველი ფერმენტები, იწვევენ რა თითქმის მშრალ მდგომარეობამდე ნაწილში ყურძნის მტევნის შემადგენელი ნაწილების სასურველ ცვლილებებს, გადადიან ყურძნის ტკბილში და აკეთილზომილებუნ ალკოჰოლური დუღილის საბოლოო პროცესს.

ნაქანი წვენი თავსდება სადუღარ ჭურჭელში და ემატება წინასწარ ფერმენტირებული ჭავა. ჭავის ფერმენტურია

წარმოებს შემდეგნაირად: ჭავას, განუწყვეტლივ მოქმედი წენების საშუალებით, ოთხემის მშრალ მდგომარეობამდე მიყვანილს, ვათავსებთ სპეციალურ ყუთებში 2—3 სმ სისქის ფენად და ვტოვებთ 4—5 საათით ( $18-22^{\circ}$  ტემპერატურაზე) წინასწარ დაქუცმაცებულ კლერტთან ერთად. ალკოჰოლური დუღილის პროცესში ხდება ჭავის სათანადო დარევა. დუღილის დამთავრების შემდეგ სალვინე ჭურჭელს ვავსებთ იმავე შინაარსის ღვინით და ვტოვებთ მას დასავარგებლად ჭავაზე. თებერვალ-მარტამდე. მაღალხარისხოვან ღვინოს ვლებულობთ მაშინ, თუ ტებილს დავუმატებთ ფერმენტირებულ ჭავას  $10-15^{\circ}/_0$ -ის ოდენობით. გემური შეფასების თვალსაზრისით ღვინოები ხასიათდება ინტენსიური მუქი შეფერვით, სასიამოენო არომატით, ვანილის იერით, მთლიანი პარმონიული გემოთი და კახური ტიპის თეთრი სუფრის ღვინისათვის დამახასიათებელი ხილის არომატით.

### კახური ღვინის დაყვანების ახალი ტექნოლოგიური წესი

კახური ტიპის თეთრი სუფრის ღვინო ხასიათდება ექსტრაჯტულობით, სპეციფიკური ხილის არომატით, პარმონიულობითა და მუქი ჩაისფერით. კახური ტიპის ორთრი სუფრის ღვინო შიიღება ყურძნის ტკბილის დუღილით ჭავაზე. დუღილის პროცესში მონაწილე ყურძნის მტევნის შემადგენელი ნაწილები საბოლოო პროდუქტს ამდიდრებენ ექსტრაქტული ნივთიერებებით, თავისებური გემოთი და ფერით. ამ რთულ პროცესში, სხვა შემადგენელ ნაწილებთან ერთად შესამჩნევ როლს მისრიმლავი და სალებავი ნივთიერებანი ასრულებენ, რაც ძირითადად საზღვრავს კახური ტიპის სუფრის ღვინოების ხარისხს.

კახური ტიპის თეთრი სუფრის ღვინოების საყოველობაოდ აღიარებული დიდი ღირსება—ნაზი სპეციფიკური ბუკეტი, ლამაზი მუქი ჩაისფერი, სპეციფიკური პარმონიული ხილის გემო და არომატი გაპირობებულია მისი ჩამოყალიბების პროცესში გიმდინარე ბიოქიმიური რეაქციების მოწვევის კომპლექსით.

ცნობილია, რომ ღვინო მოითხოვს უანგბადს სხვადა-  
სხვა სტადიაში განსხვავებული ოდენობით. პირველ პერიოდ-  
ში, ე. ი. ღვინის ფორმირებასა და დამწიფების პროცესში,  
ჰაერის შეხება ღვინოსთან საჭიროა, მაგრამ ამ შემთხვევაში,  
მოლეკულარული უანგბადი უშუალოდ არ უერთდება ღვინის შე-  
მაღვენელ ნაწილებს, არამედ იგი მიიღება თვით დაუანგული  
ნივთიერებებისაგან. ჩვეულებრივ ტემპერატურულ პირობებში  
მოლეკულარული უანგბადით ღვინოში მხოლოდ ქიმიურად  
არამაძლარი თვით დამუანგველი ნივთიერებები იუანგებიან.  
ღვინოში ასეთ ნივთიერებებად ითვლება პირველ ყოვლისა  
მთრიმლავი ნივთიერებანი. ამ ნივთიერებათა გარდა ღვინოში  
მოიპოვება არამაძლარი სხვა ნივთიერებანიც, რომელთაც  
ძლიერი დაუანგვის უნარი აქვთ.

6. სისაკიანის, ს. მანსკაიას, ს. დურმიშიძისა და სხვ.  
მიერ დადასტურებულია, რომ ყურძენსა და ტებილში არსე-  
ბობს რამდენიმე დამუანგველი სისტემა, რომელთა შორის  
უპირატესობა პოლიტენიკური სიდაზას და პერიქსიდაზას ეკუ-  
თვნის, ე. ი. ფერმენტებს, რომლებიც მთრიმლავ და საღე-  
ბავ ნივთიერებებს უანგავს.

თეთრი კახური ტიპის სუფრის ღვინის ხარისხი გაპი-  
რობებულია ყურძნის ჯიშის თავისებურებებით, ნედლეულის  
ქიმიურ შედგენილობით, ყურძნის გადამუშავების ტექნიკუ-  
რულ წესითა და ღვინის ფორმირებისა და დამწიფების  
პროცესში მიმდინარე ღრმა ქიმიური გარდაქმნებით.

თანამედროვე კახური ტიპის ღვინის დაყენების დროს,  
გადამუშავებული ყურძენი დაუყონებლივ სადუღარ ჭურჭელში  
თავსდება. ამ შემთხვევაში ყურძნის შემაღვენელი ნაწილები  
ფერმენტაციას თითქმის არ განიცდიან და მხოლოდ დუ-  
ლილში იღებენ მონაშილეობას. ღვინოში არომატული ნივ-  
თიერებანი მკრთალად წარმოიშვება, იგი ფერითა და გემოთი  
არატიპობრივი დგება.

კახური ტიპის თეთრი სუფრის ღვინის ერთ-ერთ დამა-  
ხასიათებელ თვისებად მისი ფერი და საეციფიკური არომატი  
ითვლება, რაც დამოკიდებულია არა მარტო ყურძნის ჯიშზე,

არამედ მისი შემაღენელი ნაწილების ფერმენტაციის ხარისხზე. ფერმენტულ ჭავაზე დაყენებულ ღვინოებში გროვდება ფენოლური ნაერთები, გროვდება დაბალ მოლექულური და შედარებით მაღალი კონდენსირებული დაუანგვითი პროდუქტები. წარმოიშვება რთული შენაურთუები ახორცული და ფენოლური ნაერთებისა. ფერმენტაციის შედეგად წყლის დებუტის შემცირებით დიდდება პიდროლიტური ჰოქმედება პროცეს-ლიტური ფერმენტებისა; წარმოიშვება ძლიერ დაუანგვული მთრიმლავი ნივთიერებანი, რაც ძირითადად აპირობებს კახური ღვინის ხარისხს ფერისა და გემური აფისებების მხრივ.

